

5. სამაგისტრო პროგრამა “ჟურნალისტიკა”

1. სამაგისტრო პროგრამის დასახელება

ჟურნალისტიკა – Journalism

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

ჟურნალისტიკის მაგისტრი – Master of Arts in Journalism

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი მარინე ვეკუა.

4. პროგრამის ანალოგი

Columbia University Graduate School of Journalism; MA in Journalism

www.columbia.edu

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი

სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია დარგობრივი ჟურნალისტიკის მომზადებაზე, რათა მას შეეძლოს ანალიტიკურ ჟურნალისტიკაში მუშაობა, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მედიაში. პროგრამა ითვალისწინებს მაგისტრანტისათვის არამხოლოდ პროფესიული, მაღალკვალიფიციური ცოდნის მიცემას, არამედ მათ დახელოვნებას ჟურნალისტურ ოსტატობაში. ასევე, სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. პროგრამა მაგისტრანტს უქმნის სწავლის მესამე საფეხურზე გაგრძელების წინაპირობას.

პროგრამა აძლევს სტუდენტს ცოდნას მასზედ, თუ რა გავლენას ახდენს კომუნიკაციის თეორია რეალობაში, კერძოდ კი როგორ გამოიხატა ეს ურთიერთქმედება საქართველოს ახალი ისტორიისა და თანამედროვეობის კონტექსტში.

პარალელურად სტუდენტი ეუფლება საბაზისო ფუნდამენტალურ ცოდნას საზოგადოების ოთხი ძირითადი სფეროდან: კულტურა, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტოლოგია.

პროგრამაში გათვალისწინებულია ისიც, რომ სტუდენტი უნდა დაეუფლოს თანამედროვე მეცნიერულ კვლევით მეთოდებს და გამოიყენოს ისინი ქართული მედიის კრიტიკული ანალიზის დროს.

პროგრამის დასკვნითი ნაწილი ითვალისწინებს სტუდენტის პროფესიულ დახელოვნებას, წერისა და გაშუქების ძირითადი ხერხებისა და მეთოდების შესწავლას. მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტები ამზადებენ ჟურნალისტურ პროდუქტს გაზეთისათვის, რადიოსა და ტელევიზიისათვის.

ამრიგად, პროგრამა ამზადებს დარგობრივ ჟურნალისტს, რომელიც ორიენტირებულია ანალიტიკურ ჟურნალისტიკაზე.

შედეგი

ჟურნალისტიკის მაგისტრის ხარისხი ენიჭებათ სტუდენტებს, რომელთაც:

- გააჩნიათ ცოდნა, რომელიც ეფუძნება და აღრმავებს ბაკალავრიატის (უწინარესად სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში) საფუძველზე მიღებულ განათლებას: ერთის მხრივ ჟურნალისტურ კომპეტენციას, მეორეს მხრივ კი ოთხი კონკრეტული დარგის ცოდნას (კულტურა, პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები);
- შეუძლიათ მიღებული ცოდნა გამოიყენონ ახალ გარემოში როგორც დარგობრივმა ჟურნალისტებმა მულტიდისციპლინარულ კონტექსტში (ჟურნალისტიკა და ოთხი ზემოაღნიშნული სფერო);
- გააჩნიათ ჟურნალისტური და ოთხი სხვადასხვა სფეროდან შეძენილი ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეუძლიათ გარკვეულ ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოაყალიბონ ინდივიდუალური ხედვა, პოზიცია, რომელიც სრულად გაითვალისწინებს, როგორც ზოგადად სოციალურ პასუხისმგებლობას, ისე პროფესიული ეთიკისა და ჟურნალისტურ სტანდარტებს;
- შეუძლიათ თავიანთი დასკვნების, განზოგადოებების და რეკომენდაციების არგუმენტირებულად საჯარო წარდგენა, წყაროების სწორად გამოყენება, მკაფიო დასაბუთება, როგორც კოლეგების ვიწრო წრეში, ისე ფართე აუდიტორიის წინაშე;
- გააჩნიათ ცოდნის ათვისების ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც ხელს შეუწყობს მომავალში დამოუკიდებელ პროფესიულ ზრდას და აგრეთვე იქნება შემდეგ საფეხურზე სწავლის წინაპირობა.

დასაქმების სფეროები

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია მუშაობა ბეჭდვით და სამაუწყებლო მედია ორგანიზაციებში; არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო სექტორში (სამთავრობო სტრუქტურებში). ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პიროვნებას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ჟურნალისტიკის სასწავლო პროცესში.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობას.
[http://www.tsu.ge/qa/doc/intuction .htm](http://www.tsu.ge/qa/doc/intuction.htm)
- სასურველია, რომ კონკურსანტს ჰქონდეს მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში
- მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველს შეუძლია წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია: კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო პუბლიკაციები, უცხოურ უნივერსიტეტში სტაჟირება/სწავლა, მედიაში გამოქვეყნებული მასალები. დამატებითი ინფორმაცია მისცემს უპირატესობას მხოლოდ თანაბარ პირობებში ჩაყენებულ კონკურსანტებს სამუშაო გამოცდილება არ არის სავალდებულო
- სამაგისტრო პროგრამა სავალდებულოდ მიიჩნევს კონკურსანტმა გამოავლინოს უცხოური ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ცოდნა B1 დონეზე (იხ. დან. 4)
- მაგისტრატურაში მისაღები გამოცდა ჩატარდება წერიტ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სისტემით ([http://www.tsu.ge/qa/doc/intuction .htm](http://www.tsu.ge/qa/doc/intuction.htm))
- რუსული სექტორის კურსდამთავრებული კონკურსანტი, გამონაკლისის წესით, ჩააბარებს გამოცდას სპეციალობაში რუსულ ენაზე და მისთვის უცხოურ ენად არ ჩაითვლება რუსული.

სავალდებულო საკითხები

1. რადიოს გამოსახვითი საშუალებანი– (66-73გვ.რუ.)
2. რადიომაუწყებლობის ადგილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემაში– (44-48გვ.რუ.)
3. ინფორმაციის პერსონიფიკაციის მნიშვნელობა ტელე- და რადიოპუბლიცისტიკაში– (44-48გვ.); (283-287გვ.სუ.)
4. ტელე- და რადიოპროგრამა როგორც სისტემა და მისი კლასიფიკაციის ასპექტები– (99-133გვ.რუ.)
5. მრავალპროფილიანი და ფორმატული რადიომაუწყებლობის პროგრამირების პრინციპები– (133-152გვ.რუ.)
6. ტელე და რადიოპუბლიცისტური ნაწარმოებების ფორმები– (236-247გვ.რუ.); (271-275გვ.სუ.)
7. ტელევიზიის ადგილი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა სისტემაში– (20-40გვ.სუ.)
8. ეკრანის ენა (ტელევიზიის გამოსახვითი საშუალებანი)– (142-154გვ.სუ.)
9. სატელევიზიო პერსონაჟები: კომენტატორი, მიმომხილველი, ინტერვიუერი, შოუმენი, მოდერატორი –(308-325გვ.სუ.)
10. გამოსახულებისა და სიტყვის თანაფარდობა ტელევიზიაში–(169-174გვ.სუ.)
11. ინტერვიუს სპეციფიკა რადიოსა და ტელევიზიაში–(187-196გვ.რუ.);
12. რეპორტაჟის სპეციფიკა რადიოსა და ტელევიზიაში–(200-209გვ.რუ.); (245-251გვ.სუ.)

13. გაზეთი „დროება“ და სერგეი მესხი.

ლიტერატურა:

- ბოცვაძე, სერგეი მესხი, 1964. გვ.3-80, 81-103.
- დ. ჩიკვილაძე, სერგეი მესხი, „ქართული მწერლობა“, ტ. 18. 2002. გვ. 581-615
- დ. მესხი, მოგონებები, 1941. გვ. 1-60

14. ნიკო ნიკოლაძე რედაქტორი და პუბლიცისტი

ლიტერატურა:

- ნიკო ნიკოლაძე, საიუბილეო კრებული 150, 1994წ. გვ. 12-31, 78-83, 107-117.
- ნიკო ნიკოლაძე, საიუბილეო კრებული 160, 2003წ. გვ. 25-43, 55-66, 85-110.
- დ. ჩიკვილაძე, წერილები, 1989. გვ.3-130.
- ნ. ნიკოლაძე, „ჩემ პოლიტიკაზე“, გვ.274-306, „ახალი ახალგაზრდობა“, გვ. 42-71, „ანრი რომაშვილი“, გვ.443-446; „ქართული მწერლობა“ ტ. 14, „მამულის სიყვარული და მსახურება“, გვ.136-185; ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ.IV.

15. ისტორიის საკითხები „ივერიაში“

ლიტერატურა:

- ილია ჭავჭავაძე - „ქვათა ღალადი“ (ტ. VIII), გვ.95; „მეცხრამეტე საუკუნე“(ტ.V), გვ. 7-9; აი, ისტორია“ (ტ. IV), გვ. 17-133.
- „დავით აღმაშენებელი“ (ტ. IV), 179-183; „ასი წლისთავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“ (ტ. IV), გვ. 264-272.
- „ერი და ისტორია“ (ტ.IV). გვ.9-16, 200-204.

16. გიორგი ერისთავის ლიტერატურული ჟურნალი „ცისკარი“.

ლიტერატურა:

- მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954. გვ. 312-326, 342-370
- კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1981, ტ.I გვ. 70-90

17. ჟურნალისტიკა როგორც სისტემა.

(კოვაჩი ბ., როზენსტელი ფ. ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ. 2006.გვ.16-19), (სურგულაძე რ. ჟურნალისტიკამცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1999.; გვ.27-37, 48-59).

18. ინფორმაცია როგორც ჟურნალისტიკის ფუნდამენტური ცნება.

(კოვაჩი ბ., როზენსტელი ფ. ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ. 2006.; 19-26)

19. ჟურნალისტიკის ძირითადი ფუნქციები.

(კოვაჩი ბ., როზენსტელი ფ. ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ. 2006.; 28-38)

20. ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპები.

(კოვაჩი ბ., როზენსტელი ფ. ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ. 2006.; 41-56),

(ვეკუა მ. ჟურნალისტიკის პრინციპები. თბ., 2007.; 30-47)

21. ჟურნალისტიკის სამართლებრივი სივრცე.

(სურგულაძე რ. ჟურნალისტიკამცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1999.;261-268), (საქართველოს კანონი სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. თბ., 2004.).

22. პროფესიული სტანდარტის ცნება.

(ჰამილტონი ჯ., კრიმსკი ჯ. ჩაეჭიდეთ პრესას, თბ., 2005.; 18-22,155-172)

23. ინფორმაცია გლობალურ სივრცეში.

(რეზო სურგულაძე, ე. იბერი „მასობრივი კომუნიკაცია“, თბილისი, 2003.; 261–268)

24. ახალი ამბების განსაზღვრა.

(ოსეფაშვილი დ. პუბლიცისტიკის ჟანრთა ტრანსფორმაცია თანამედროვე ქართულ პრესაში, თბ., 2005.; 42-48),

(ჰამილტონი ჯ., კრიმსკი ჯ. ჩაეჭიდეთ პრესას, თბ., 2005.; 99,105-111,126)

25. ბეჭდური მედიის განვითარების ეტაპები.

(ჰამილტონი ჯ., კრიმსკი ჯ. ჩაეჭიდეთ პრესას, თბ., 2005.; 257-287),

(კოვაჩი ბ., როზენსტელი ფ. ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ. 2006.; 16-41).

